საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34** **ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87** **ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია/Archaeology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში Bachelor of Arts in Archaeology
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**240 ECTS კრედიტი : (8 სემესტრი)** **სასწავლო კომპონენტი:** **ძირითადი სპეციალობა - 180 კრედიტი:** აქედან: **20 კრედიტი** ეთმობა ინგლისურ ენას, **150 კრედიტი** სპეციალობის სავალდებულო კურსებს, მათ შორის: **10 კრედიტი** არქეოლოგიურ პრაქტიკას, 5 კრედიტი ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებს და **10 კრედიტი** საბაკალავრო ნაშრომს **60 კრედიტი** - თავისუფალი კომპონენტები ან დამატებითი პროგრამა Minor ან სპეციალობის არჩევითი ბლოკი/არჩევითი სასწავლო კურსები
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდები ➢ მობილობის წესით ჩარიცხვა ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	1. მოამზადოს არქეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების მცოდნე ბაკალავრი, რომელსაც კარგად ექნება გაცნობიერებული მატერიალური კულტურის არსი და მნიშვნელობა კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიის გააზრების პროცესში 2. მოამზადოს ბაკალავრი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა არქეოლოგიის დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, დარგობრივი ტერმინოლოგიის, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების კვლევის თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების შესახებ 3. ჩამოუყალიბოს სტუდენტებს არქეოლოგიური საველე მუშაობის ძირითადი პრინციპების ცოდნა (დაზვერვები, გათხრების დაგეგმვა, სტრატიგრაფიისა და კულტურული ფენების განსაზღვრა, მოპოვებული მასალის ფოტოფიქსაცია, ჩახატვა, კამერალური დამუშავება და ა.შ) და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები 4. მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ემპირიული და თეორიული მონაცემების/ცოდნის ურთიერთდაკავშირებას, ანალიზს და სწორი დასკვნების ჩამოყალიბებას. ასევე, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციას, მოვლენების პროგნოზირებას და მართვას 5. მოამზადოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტები, რომლებიც

	შეძლებენ ეთიკური ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების/პრინციპების დაცვით საკუთარი ან/და სხვისი კვლევის შედეგების სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა, ასევე, განსხვავებული ღირებულებულებების, იდეებისა და შეხედულებების პატივისცემას; ქვეყნის მდიდარი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას და შენარჩუნებას
სწავლის შედეგები	1. განსაზღვრავს არქეოლოგიის როლს თანამედროვე საზოგადოებაში და აცნობიერებს მის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიული პროცესების გააზრებისათვის 2. ავლენს ფართო ცოდნას არქეოლოგიის დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, პერიოდიზაციის და ქრონოლოგიის შესახებ და იყენებს კვლევის თანამედროვე მიდგომებს, ხერხებსა და მეთოდებს 3. ავლენს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერდისციპლინური კვლევების შესახებ, რომელთა გამოყენება აუცილებელია საველე არქეოლოგიური სამუშაოებისა და სამეცნიერო არგუმენტაციის დროს 4. აანალიზებს არქეოლოგიური დაზვერვების დროს მოპოვებულ მონაცემებს არქეოლოგიური გათხრების დაგეგმვის პროცესში; 5. განსაზღვრავს სტრატიგრაფიისა და კულტურული ფენების მნიშვნელობას საველე არქეოლოგიური სამუშაოების დროს და ახდენს მათ ფიქსაციას, პრეპარაციას, მასალის კამერალურ დამუშავებას, ტიპოლოგიურ თუ ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას 6. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სამეცნიერო ბაზებსა და ელექტრონულ რესურსებში მოიძიებს და იყენებს საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, საფონდო მასალებს და რელევანტურ წყაროებს; აანალიზებს მათ და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს 7. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დარგობრივ სფეროში პრეზენტაციის/ მოხსენების წარდგენის დროს სპეციალისტებთან თუ არასპეციალისტებთან 8. ინტერდისციპლინარულ გარემოში მუშაობისას ეფუძნება გუნდურობის, დროის ეფექტიანი მართვის პრინციპებს; 9. არქეოლოგიური ინფორმაციის/ მასალის /მონაცემების აღწერისას და ინტერპრეტაციისას იცავს მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს 10. აცნობიერებს პროფესიულ პასუხიმგებლობას და იცავს ეთიკის ნორმებსა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებას; აცნობიერებს ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების შესახებ არსებულ განსხვავებულ

	ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს - როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს
შეფასები წესი	ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F. A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.
საკონტაქტო პირ(ებ)ი	**მერაბ ხალვაში** +995 577 17 97 55 **ნანა ხახუტაიშვილი** +995 599 28 55 02